პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1978 • ოთხშაბათი 4 იანვარი • № 3 (17047) • ფასი 2 კაპ. 1978

საკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მოგვიწოდა:

საჰიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების მუშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ შიდასამეურნეო რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას, წარმოების ნოვატორთა ინიციატივის გავრცელებას, დღენიადაგ ვიზრუნოთ ხარისხოვრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, ვიღვწოდეთ გაღიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის.

ვეტერანებია ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის ი. მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგი. ამიტომაც კოლმეურნეები ყოველ წელს დამკვრელურად მუშაობენ და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვ მოსავალსაც იღებენ. საიუბილეო წელს 520 ცენტნერი ნაყოფი უნდა მიეღოთ. პირობა ორმაგად შესრულდა. ახლა ვალდებულების გადამეტებით ყოველდღე ასობით კილოგრამ მანდარინს კრეფენ.

მოწინავეთა შორის არის კოლმეურნე ლიანა კუკავა, იგი ციტრუსის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. სურათზე: ლიანა კუკავა მანდარინის კრეფის დროს.

ა. ჟუჟუნიას ფოტო.

ხუთწლედის მოწინავე

რეპუბლიკური ბიბლიოთეკა

დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბევრ ადგილზე ასეთ ფორმულირებას ვხვდებით: ეკონომიკური ზრდა ეფუძნება ინტენსიურ ფაქტორებს, ანუ ეფუძნება ეკონომიკურ ეფექტიანობას. ეს ფორმულირება ეფუძნება ეკონომიკურ ეფექტიანობას, ეფუძნება ეკონომიკურ ეფექტიანობას...

ფიქრები და საქმენი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის შემდეგ

ხელმძღვანელის ავტორიტეტი

მიღწეული ზღვარი არ არის

მეათე ხუთწლედის მეორე წელი გავიდა. ეს უკვე განვლილი პერიოდია, ისტორიის კუთვნილებაა. მაგრამ ადამიანს ხომ ყოველთვის უკმარსობის გრძნობა აქვს. რაც განვლილ წელიწადში გავაკეთეთ ის უკვე ალარ გვაკმაყოფილებს. როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმზე მოხსენება და სიტყვები მოვისმინე, როცა დაწვრილებით გავიგე საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შინაარსი, ძალიან ჩავფიქრდი. პლენუმიდან რომ დავბრუნდი, ჩვენს საწარმოზე ფიქრი არ მასვენებდა. მას შემდეგ მე არა ერთხელ მიფიქრია ჩვენს ფაბრიკაზე, მის შესაძლებლობებზე, იმ რესურსებზე, რომელთა ამოქმედება ახლა წარმატებას უთუოდ მოგვიტანს.

მე არ ვიცი, სხვა საწარმოთა ხელმძღვანელები რას ფიქრობენ, მაგრამ პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამ პლენუმმა ჩემზე, როგორც მეფრინველეობის ფაბრიკის ხელმძღვანელზე, დიდი ზეგავლენა იქონია, ბევრ რამეზე დამაფიქრა, ბევრი ახალი პრობლემების წინაშე დამაყენა.

კარგად არის ნათქვამი — ხელმძღვანელი ავტორიტეტს მხოლოდ შრომით შეიძენსო. საძვეშეს შენნად გამოგაჩინოსო — ესეც გონიერი ადამიანის ნათქვამია. და რაკი ეს ვიცით, იმის უნარიც უნდა შეგვეძლოს, რათა ვიმუშაოთ ისე. მოვიხვეჭოთ ისეთი ავტორიტეტი, რომ ჩვენს კოლექტივებში ჩვენს სიტყვას ძალა ჰქონდეს.

უნარი გქონდეს ემორჩილებოდე კანონს, დისციპლინას, წესრიგს, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებს, მსოფლიოში ყველაზე მუშაობისა კანონებისადმი დამორჩილების უნარი თავისუფლების უმაღლესი გამოხატულებაა. და თუ ეს ასეა, და ეჭვიც არ მეპარება რომ ასეა, ისევ დაგვრჩენია, პირველ რიგში ჩვენს თავში აღზრდილთ კანონისადმი, წესრიგისადმი, დისციპლინისადმი დამორჩილების გრძნობა და როცა ამას მივაღწევთ, მერწმუნეთ, რომ კოლექტივში ხელმძღვანელის ავტორიტეტი ერთი ორად ამაღლდება.

ერთ-ერთი იმ ძირითადი პრობლემათაგანი, რომელთა გადაჭრის დიდი მნიშვნელობაც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, — ეს არის ყოველგვარი დისციპლინის განმტკიცება ყველა სამუშაო უბანზე. ამ მიმართულებით რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. რუხთაველთა ინიციატივას, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მოძრაობას დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“, მხურვალედ დაუჭერია მხარი ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა. ამის შედეგია ის დიდი გამარჯვება, რომელსაც ჩვენმა კოლექტივმა საიუბილეო წელს მიაღწია.

გეგმების შესრულებისათვის რომ ვიბრძოდით, პირველ რიგში ფრინველის რაოდენობის გადიდებისათვის ვზრუნავდით. 336.200 ფრთის ნაცვლად 465.200 ფრთა გვყავდა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი საზრუნავი პროდუქციის წარმოების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება იყო. ეს საქმეც წარმატებით დავაგვირგვინეთ. საიუბილეო წელს ნაცვლად 20 მილიონი ცალისა, 23 მილიონ 379.300 კვერცხი ვაწარმოეთ და საახალწლოდ ნაცვლად 19 მილიონისა 22 მილიონ 465.000 ცალი კვერცხი მივყიდეთ. გარდა ამისა საახალწლოდ 560 ტონის ნაცვლად 775 ტონა და 700 კილოგრამი ფრინველის ხორცი მივყიდეთ. გვეამაყება, რომ ჩვენი ფაბრიკის ინდაურის ხორცი რესპუბლიკის ბევრი შრომელის საახალწლო სუფრაზე იყო.

ს. ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმზე, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის დიდმნიშვნელოვანი რეზერვია რესურსების კომპლექსური გამოყენება. რესურსების კომპლექსური გამოყენებით მივადწიეთ იმას, რომ ყოველი 1.000 ცალი კვერცხის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებული 81 მანეთი და 90 კაპიკის ნაცვლად 70 მანეთი და 93 კაპიკი იყო. ცენტნერი ხორცის თვითღირებულება კი 3 მანეთით გავაიაფეთ. ერთი კვერცხმდებლიდან გეგმით 185 კვერცხი უნდა მიგვეღო, სანამუშო, კომპლექსური მოვლით 204 კვერცხი მივიღეთ. ყოველივე ამან საუალება მოგვცა მოგების გეგმა დიდი გადამეტებით შეგვესრულებინა. ნაცვლად 36.000 მანეთისა 250.000 მანეთი მოგება მივიღეთ.

შრომის ეფექტიანობითა და წარმოებაში დისციპლინის განმტკიცებით მივაღწიეთ იმას, რომ გასული საბეურნეო წელი წარმატებით დავამთავრეთ. ნაცვლად 3 მილიონ 403.700 მანეთისა 4 მილიონ 236.000 მანეთი ფულადი შემოსავალი ეიგილეთ. შრომის ნაყოფიერება, წინა წელთან შედარებით, 19 პროცენტით გადიდდა.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ჩვენი ფაბრიკის ყოველი მუშაკის ყოველდღიური საზრუნავი იყო. პროდუქციის ხარისხი ჩვენთან მაღალია. ყოველი 1.000 ცალი კვერცხის სარეალიზაციო ფასი ნაცვლად 103 მანეთისა და 66 კაპიკისა 109 მანეთი იყო. მარტო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით 66.500 მანეთის მოგება ვიგულისხმეთ.

აი იმ მიღწევების მოკლე ნუსხა, რომელსაც ხაიუბილეო წელს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა მიაღწია.

მაგრამ ხომ ნათქვამია — მიღწეული ზღვარი არ არისო. მიღწეულზე შეჩერება არ შეიძლება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ სამეურნეო მუშაობის ყველა სფეროში, მის ყოველ უბანზე უმაღლესი ორგანიზებულობის, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის განვითარების დაჩქარების ერთ-ერთი წყაროა. ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა გადაჭრით დაგმო საწარმოო გეგმების უსაფუძვლო შემცირება-კორექტირების პრაქტიკა. ამ პლენუმზე მთელი სიმკაცრით, სრულიად სამართლიანად ითქვა, რომ გეგმა ეკონომიკური კოლიტიკის რეალიზაციის მთავარი იარაღია. იგი შეიძლება განვიხილოთ, და უნდა განვიხილოთ კიდეც, შემოუსავების სტატიაზე. მაგრამ როცა გეგმა უკვე დამტკიცებულია და სახელმწიფო კანონის ძალა აქვს მინიჭებული, მხოლოდ ერთი მოსალობა გვრჩება, — შეგასრულოთ იგი, თანაც შეგასრულოთ ნაკლები დანახარჯებით და საუკეთესო მაჩვენებლებით.

სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის ეს მითითება ყველა ხელმძღვანელმა, ყველა მშრომელმა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის სახელი და ღირსება, გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს და დღენადაგ იბრძოდეს, შრომობდეს იმისათვის რომ ეს ხაკონმდებლო მითითება ხუთწლედის მესამე წელს უთუოდ შესრულდეს. ეს მითითება ყველა შრომითმა კოლექტივმა უნდა შეასრულოს, რათა მთელ რესპუბლიკაში მივაღწიოთ საერთო წარმატებას, ეფექტიანობას.

მე, როგორც საწარმოს ხელმძღვანელს, წარმატებათა მოპოვების ერთ-ერთ რეალურ გზად მიმაჩნია ხელმძღვანელის პირადი მაგალითი, პირადი ავტორიტეტი. ავტორიტეტი კი, როგორც აღვნიშნე მხოლოდ შრომით მოიპოვება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანა — გადავაქციოთ 1978 წელი დამკვრელური შრომის წლად და მივაღწიოთ ახალ წარმატებებს სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებაში, ობას ნიშნავს, რომ ყოველდღიურად ჩვენ თავს ვკითხოთ დღეს რა გავაკეთეთ მშობლიური საწარმოს აღმავლობისათვის, რა გავაკეთეთ ჩვენი სამშობლოს წინსვლისათვის. ეს პირველ რიგში ხელმძღვანელს ეხება და თუ დირექტორი, თავმჯდომარე ასე ფიქრობს და აკეთებს, მაშინ მას არ გაუჭირდება სხვასაც მოსთხოვოს. მოსთხოვოს მტკიცედ, საერთო საქმის გამარჯვებისათვის. მაშინ საწარმოს ყველა მუშაკი შენს გვერდით იქნება, კოლექტივი მტკიცე იქნება. კოლექტივის სიმტკიცე კი გამარჯვების თავწყარო.

ის დღე, როცა არ გიაზროვნია, წიგნი არ წაგიკითხავს, გონებრივად არ დაძაბულხარ, შენს საწარმოზე, ოჯახზე არ გიფიქრია, ფუჭად გავლილი დღეა. ეცადე მეტი გააკეთო, ვიდრე გავალებენ, თვითონ დაიახავ ამოცანები და დავალებები. და როცა ყოველდღიური თვითვალდებულებები გაქვს, როცა მისი შესრულებისათვის დღენაადგ ზრუნავ, მაშინ ხაერთო წარმატება შენი წილხვედრი იქნება.

დასასრულ, მე მინდა მივმართო ჩემს კოლეგებს: მოდით ამ ახალ 1978 წელს ისე ვიმუშაოთ, ისე ვიმოღვაწეოთ ჩვენს სოფლებში, ჩვენს საწარმოებში რომ მეათე ხუთწლედის მესამე წლის გოლოს რესპუბლიკაში მართლაც არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი საზოგადოებრივი მეურნეობა. ამით ავიმაღლებთ პირად ავტორიტეტს, სოფლის, რაიონის ავტორიტეტს, საპატიო ფვლილს შევიტანთ საქართველოს სახელისა და ღირსების შემდგომი გადიდების საქმეში. ამისათვის მხოლოდ და მხოლოდ ყოველდღიური ხელდაკაკიჭებული შრომა და ისევ შრომაა საჭირო.

მერი მდივანი,

გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი.

მეგობრობის საჯამო

ახალციხე ერთი იმ მრავალეროვანი რაიონთაგანია, სადაც ქართველების ძმურადმხარ მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ სომხები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამიტომ იყო, რომ ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა ხალხთა მეგობრობის საღამო, რომელიც ამას წინათ გაიმართა მესხეთის სახელმწიფო თეატრში პარტიის ახალციხის რაიკომის, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნისა“ და გაზეთ „სოვეტკან ერასტანის“ რედაქციის თაოსნობით.

საღამო შესაალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ქაჯაიამ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის საიათნოვას სახელობის ეროვნულ-ინსტრუმენტული ანსამბლი. ახალციხის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგები და ქორეოგრაფიული სტუდიის მოცეკვავეები.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

დეპუტატები სწავლობენ

ფოთი. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსთან პირველად არჩეული დეპუტატებისათვის შექმნილია სწავლების ერთწლიანი სკოლა. სკოლის მორიგ მეცადინეობაზე მსმენელებმა ზოისმინეს განათლების განყოფილების გამგის გ. ხოჭოლავის ლექცია თემაზე: „სახელმწიფო მმართველობის ორგანოები და მათი ფუნქციები“ და ჰიდროფექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორის ფ. მაღალაშვილის მოხსენება „დეპუტატის საქმიანობა საარჩევნო ოლქში“.

ახალგაზრდა დეპუტატებს განმარტათ მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები.

ჯ. კოპახიძე.

გელათიდან — ,,აგზავრგაარეთ

ტყიბული. (სპეც. კორ.). სამფეხიანი დენის ინსტრუმენტულმა ტრანსფორმატორმა, რომელსაც ხუთი წელია გელათის ტრანსფორმატორების ქარხანა უშვებს, საქეყნოდ გაითქვა სახელი. იგი მსოფლიოს 26 ქეყანაში იგზავნება.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. კონვეიერიდან გადმოვიდა მე-500.000-ე ტრანსფორმატორი. მთელი გამოშვებული ტრანსფორმატორებიდან 5.200 ცალი საექსპორტოა, ხოლო 1.100 ცალი სპეციალური ტრანსფორმატორი დამზადებულია ჩვენი ქვეყნის მეტროპოლიტენებისათვის.

გელათელები ახლა გულმოდგინედ ემზადებიან ახალი პროდუქციის — გაუჭიმებელებენი ტიპის საჩარხო ტრანსფორმატორების სერიული გამოშვებისათვის.

ახალი სისტემის აპარატი

ბათუმი. (სპეც. კორ.). ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში ათვისეს კონსერვების სტერილიზაციის პროცესის მართვადირებელი ავტომატის წარმოება. ეს სიახლეა ტექნიკაში. აპარატის ერთ-ერთ ბლოკში ათავსებენ ფირს, რომელზეც ჩაწერილია მართვის პროგრამა, მექანიზმი გამორიცხავს უხარისხო პროდუქციის გამოშვებას.

ასეთი რთული მექანიზმის ამაწყობად შეიქმნა ბრიგადა, რომელშიც გამოცდილი ზეინკლები და ელექტრიკოსები არიან გაერთიანებული.

ქარხანა ასობით ასეთ აპარატს მიაწვდის საკონსერვო საწარმოებს.

ხუთწლედი და ჟურნალი

ახალგაზრდა მწერალი ჯემალ დავლიანიძე კარგა ხანია მუშაობს ქართველ მეცხვარეთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებების შესაქმნელად, ხშირად არის ეწყობა მსგავსებთან მთასა თუ გარეთ, მათ შესახებ წერს რომანს.

„კომუნისტის“ რედაქციის მივლინებით მწერალი ამას წინათ იყო ნოღაეთში და ეს ნარკვევი იქ ნახულისა და განცდილის შემდეგ დაწერა.

ნოღაეთი... უკიდეგანო ტრამალები. ქართა სავანე. მარილიანი მიწა. ოდესღაც უაუქცეული წყლის საუფლო, მარადიულ ბალახთა გაზაფხულის სამკვიდრო. უწყლობის, გამოფიტვის, ერთი შეხედვით, უსიცოცხლო ხმელეთის დედა, სადაც, თუ კარგად დააკვირდებით, ისეთივე სიცოცხლე ფეთქავს, როგორც ყველგან... როგორც ყველგან — დედამიწაზე.

ნოღაეთი...

აქ თუ არ იცხოვრე, ვერასოდეს გაიგებ ადამიანი, რომ ტრამალი არ არის უდაბნო, ტრამალი არ არის მარტოოდენ ველური ბალახების, ქვეშის „ორიანტელის“, ლრიანკალების, გადატრუსული ბალახისა და უსიცოცხლო ყოფილების დედა-ბუდე...

ძველი აღმოსავლური ფილოსოფიის ერთ-ერთი უმარტივესი მცნება ამბობს: „თუ გინდა სიბრძნეს ეზიარო, იყავი უტყვი, ამაზე ადვილი კი ალბათ არა არის რა ამქვეყნად“. საკმარისია რამდენიმე თვე, რომ ტრამალების უსაზღვრო, გავაკებული სიჩუმე, მდუმარე, მრავლისმეტყველი მიწა და ცა მოგიქცევს საკუთარ საეკლესიაში, მიგიზიდავს, მოგიბილავს, დაგიტეხავს და იმ ფიქრების შეკრულ კონას გაგიხსნის, რომელიც აქამდე იყო ჩაკეტილი აზროვნების ლაბირინთებში...

უმრავლესობას (და ალბათ ძალზე ბევრს) დღემდე ვერ გაურკვევია მწყემსად კაცის წესალის მიზეზი. ისე, უამრავი საბაბი შეიძლება ჩამოითვალოს: ახირება, განცალკევების სურვილი, საკუთარი ნებისყოფის გამოცდა, რაიმე გრძნობის აყოლა (ბაგალითად ტარიელივით ველად გაქცევა), ტრადიცია, ცხვრის სიყვარული. კიდევ მრავალი შეიძლება ჩამოთვალოს, მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის ნაღდი მიზეზი...

და მართლაც... პაპანაქების, ცხელი ქარების, დვეის ქარების ხროვა, საშინელი მუმლი და კოღო, რომელთაც ვერსად გაექცევიო, ქვიშის ქარების მდინარეები, მტვერი, უწყლობა, უბალახობა, ოჯახს მოწყვეტა, თითქმის ცხრა თვით მიტოვებული ცოლი, შვილები, შვილიშვილები, მეგობრები, შენი თემი, შენი მიწა, შენი მეზობელი, შენი ჭირი, შენი ვარამი, ლხინი, ქორწილი, დღეობა თუ დღესასწაული.

ეს, — უფრო მეტიც, ანდა ცოტა უფრო ნაკლები (რადგან ტრამალების ბედ-იღბალი მაინც, უმთავრესად ბუნების ხელშია) არის ნოღაეთის ტრამალები, სადაც ქართველი მწყემსი „აცი ცხოვრობს, შრომობს, ფიქრობს, ოცნებობს, დარდობს, უხარია...

საკმარისია დოლს ერთხელ მაინც დაესწრო კაცი, ერთხელ მაინც დააცქერდე მწყემსის სახეს, მის გახეშეშებულ, გლეტურ, ვეკაცური ხელებს, ფიქრებშიც ახალშობილი, უწმინდესი, უმანკოების განსახიერება — თეორი ბატკანია მოქცეული, საკმარისია ყური მიუგდო — როგორ ეჩურჩულება მამაკაცი და უვლის ბატკანს, როგორ დაკანკალებს ახლადმოვლენილ სულდგმულს, რომ მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც ჩასწვდეთ იმ ამოუცნობ მიზეზს, რომლის გამოც კაცი ცხვარში მიდის.

ისიც მართალი უთქვამთ — ხშირი გამომზეურება ახუნებს სულამაზესაც... ბევრი კარგი თქმულა ცხვარ-მეცხვარეზე, ბევრი უნვეიებიათ, ბევრი უმღერიათ, ბევრი დაუწერიათ... მათზე თქმულ მრავალ „ქებათა-ქებებს“ ძალზედ მიეჩვია ქართველი კაცი, შეიძლება ისე მიეჩვია, რომ ხანდახან გაიფიქრებს კიდეც — რა ყური წაიღესო, მაგრამ ჭეშმარიტების შესაცნობად სწორედ ჯგბრიანი ჩაკიეკავა საჭირო, რომ, როგორმე ნაპოვნი იყოს ის მიზეზი, რომელზეც მოხერხდება აზრის ფოკუსირება (სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში გვითამაშია გამადიდებელი შუშით, — რამდენი გვიწვალია, სანამ მზის სხივებს ერთ წერტილში მოგაქცევდით და საშრობ ქაღალდს ცეცხლს მოუკიდებდით).

ტრამალები. ცხვარი. ცა. წყალი. მიწა. მწყემსი.

ტრამალში მე მომისმენია ცხვრის ფარასთან მდგარი მწყემსის, მარტოკაცის უეცარი ამოყვირება და გაურკვეველ, შიშნარევ ნეტარებას გავუყინივარ. ეს იყო სიმღერა, მასში იყო ყოველი ბგერა, რომელიც კი არსებობს უკიდეგანო ხმაურთა სამყაროში, მაგრამ სად იყო თავი და თავი მიზეზი იმ უცნაური სიმღერის ამოსაკითხად?

1977 წლის ოქტომბერი.

საქართველოდან დაძრული ცხვარს გზაზე მოუსწრო თოვლმა. ჯვრის ულელტეხილზე და დარიალის ხეობაში უფრო დავიწროვდა და შეიკრა გზები. გადათეთრებულ ფერდობებსა და ვიწროებზე ყვითელ მდინარესავით გაიპარა ცხვრის უწყვეტი ნაკადი. შესაბრალის ბღავილს, ძაღლების წკმუტუნს, ცხენების ფრუტუნს და მწყემსთა სტვენაშეძახილებს ჩრდილოეთისკენ მიმავალი ავტომობილების სიგნალთა ხმა შეუერთდა.

უკვე ბნელა.

შეიკრა გზა.

მწყემსები ცდილობენ, როგორმე გზა უტიფონ მოხვევებულ ავტომანქანებს, ხელებს იქნევენ, ყვირიან, ცხვარს აფრთხობენ (ავტომანქანის შუქზე გარკვევით მოჩანს მათი სახე, რომელზეც ალბეჭდილი ცხვრის საცოდაობა, უმწეობა და უსასოობა) და ისედაც შეკუმშულ ფარას უფრო კუმშავენ, კონჭავენ და ჯოხის ქნევით ანიშნებენ მძღოლებს, — გამოიარეთ, გზა თავისუფალიაო.

ვერ აუდიან მეცხვარეები გაჭირვებულ ცხვარს. „კოლოზნიკიდან“ ქურქებში გამოწყობილი ორი მამაკაცი და ერთი ქალი გამოდიან. მეზავრებს არა ჰგვანან, მწყემსებს ეხმარებიან, რაღაცას უყვირიან, ხელით ანიშნებენ მძღოლებს, — შესდექითო!

მაღალი, ჯინსებში გამოწყობილი ათლეტური აღნაგობის, ლურჯთვალა კაცი წინ გადაუდგა მანქანების კოლონას, მუშტი მოუღერა, ხელებით მიაწვა მეწინავე მანქანას.

გრიგოლ ონიანი, ყიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანების თავმჯდომარე, ყო რამდენიმე წელიწადია, რაც ნოღაეთის ველებზე ცხოვრობს. მისი ჩამოსვლის შემდეგ, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დახმარებით, სულ უმოკლეს დროში თითქმის აღარაფრის, ცხვირკეტიანი, ცხვრის ქურქში გამოწყობილი ახალგაზრდა ეხმარება. ამოღმართში მომძღოვრებულ მანქანას სჭანან ორთავე... როგორც იქ, ტრამალებში, უდგანან მხარში ერთმანეთს, აქაც ერთად არიან ყიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანების თავმჯდომარე და ამავე გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი რამაზ აბაშიძე.

თოვს... ქარბუქი მატულობს.

გრიგოლ ონიანი მუშტებს ულერებს მძღოლებს, უცაბედ რამაზ აბაშიძე მოსწყდა ადგილს, წინ მიდგომი სატვირთო ავტომობილიდან მძღოლი გადმოსვა, საჭეს მიუჯდა, მანქანა შემოტრიალა, განდგან გადახიდა გზაზე, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და კარები მიაჯახუნა.

„სამი საათი უნდა გვადროვოთ, ვერ გიგიშვებთ, ცხვარი სანამ არ ჩასცდება მოსახვევს!“ განუცხადა გრიგოლ ონიანმა ისევდაც ბაწამებულ მგზავრებს. ყველა მძღოლი მიხედა — ალარაფერი გამოუვიდოდათ, შუქფარები გამორთეს, სიგნალები მიაჩუმეს და დრო დანიშნეს.

ბოლოს და ბოლოს ტაატით იძვრის ავტომანქანების უთავბოლო კოლონა. ერთი „ჟოლობოზნიკი“ ყველას უსწრებს, ცდილობს სწრაფად იაროს, პროექტორიც კი აუნთია... ცხვარი უშლის ხელს. მანქანიდან მაღალი წარმოსადეგი ახალგაზრდა ქალი გადმოდის, ავტომობილს წინ მიუძღვის, ხელში ბავშვის პალტო უკავია, იქნევს, ფარას ავიწროვებს და გზას უგდებს მანქანას, რომლის საჭესთან მისი მეუღლე — რამაზ აბაშიძე ზის, ხოლო უკან საბანში გახვეული მათი შვილები, პატარა ეკა და გოგიტა მოკუნტულან და გაფართოებული თვალებით, ბავშვურ შიშში ათვალეფილი ცნობისმოყვარეობით გასცქერიან დედას.

დალი აბაშიძე წელიწადზე მეტია ქმარშვილთან ერთად ცხოვრობს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე. ამაში, თითქოსდა არაფერია გასაოცარი, ვერედა რა, თბილისში დაბადებულ-გაზრდილ ახალგაზრდა ქალს ცხოვრებას ერთგვარ რომანტიკულობასაც კი ანიჭებს, მაგრამ ყინვის ლოლოებს სლამაზეს წაადგის ეს რომანტიკულობა. ძალზედ ლამაზია ყინულების ტევრი, რომელიც მკაცრი სიცივის ლახტით იმუქრება. ბით უმეტეს, როცა ირგვლივ ქვეშრობები, უკიდეგანო ტრამალები, გადატრუსული ბალახი, ეუდიანი ქარები, გაბმული წვიმები, ქარშხალი, მტვერი. ქინქლა, კოღო, სიცხე არაული და ბოლოს, ფიქმორი სასმელი წყალი, რომელსაც ცეცხლი ეკიდება. ახლა დაბა კოჩუბეი ნახეთ, სადაც თბილისელი ქალი ცხოვრობს: ერთი ცენტრალური ქუჩა, რამდენიმე გადასახვევი, წვივით შელესილი სახლები, რამდენიმე ორსართულიანი შენობა, ერთი პაწაწინა ბაზარი, ორიოდ სასადილო, სკოლა...

ნისლიანი დილაა.

ადრეული თოვლით შეთეთრებულა ქუჩები. სიცივით მობეზული ადამიანები მიმოდიან...

დედა-შვილი — დალი და გოგიტა სკოლაში ერთად მიდიან. უხმოდ მიაბიჯებენ გოგიტა დუმს, რადგან ირგვლივ არ მოჩანს არც საკონდიტრო ვიტრინები, არც სათამაშოების მაღაზიები, არც ათასნაირი მანქანები, აქ მხოლოდ და მხოლოდ ერთფეროვანი, მტვრისფერი შენობებია და ნეტი არაფერი...

გოგიტა საკლასო ოთახში შედის. დალი სამასწავლებლოსაკენ მიეშურება.

მერე ზარი ირეკება. დალი აბაშიძე ჟურნალით ხელში ნელა მიემართება საკლასო ოთახისაკენ, სადაც დაღესტნელი, რუსი, ჩეჩენი, აზერბაიჯანელი და სხვადასხვა ეროვნების მოწაფეები უცდიან გერმანული ენის მორიგი გაკვეთილის გამოკითხვა-ახსნას.

რამაზ აბაშიძე მაგიდას უზის. ეკა უმასპინძლებდა მამას, მაგიდასთან ტრიალებს, ცდილობს დედას მიბაძოს ჩაის დასხმაში, ხელიდან უსხლტება ცხელი ფინჯანი.

— ეკო — მამა სომსახურისაკენ მიეშურება, ეკა — საკოლისაკენ შენ ახლა უკვე გოგონა ხარ...

[illegible]

ბაბაძეებს, შენ, [illegible] „ცოდნის“ [illegible] ბინა [illegible] ბინა [illegible] ბინა

თანამშრომლობის ახალი იმპულსი

ჟურნალ „ოსტ-ვესტ-კომენციის“ ფურცლებზე

ბონი, 3 იანვარი. (საკდესი). დასავლეთის შენელების ატმოსფეროში წარმატებით ვითარდება ეკონომიკური კავშირურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს შორის, წერს ჟურნალი „ოსტ-ვესტ-კომერციი“. ჟურნალის აზრით, მომდინარე წელსაც ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდება. „ოსტ-ვესტ-კომერციი“ განსაკუთრებით ხაზს უსვამს უმაღლეს დონეზე შეხვედრათა დიდ მნიშვნელობას, აღნიშნავს რა ამასთან დაკავშირებით, რომ მალე მოეწყობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

„ორმხრივმა შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ უმაღლეს დონეზე სიგრძნობლად შეუწყო ხელი იმას, — აღნიშნავს ჟურნალი, — რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური მთავრობა ამერიკის სატელევიზიო კომპანია სი-ბი-ესისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა ვერ მოახერხა მონაწილეობა მიაღებინოს ახლაელ-ეგვიპტის ორმხრივ მოლაპარაკებაში, „არავინ არ უნდა მოელოდეს ჩვენგან, რომ კაროში წავალთ“ — თქვა მან. იორდანია, ვერ ხედავს ამ მოლაპარაკებაში კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივას.

ამერიკელ-ეგვიპტელ ორმხრივ მოლაპარაკებაში „არავინ არ უნდა მოელოდეს ჩვენგან, რომ კაროში წავალთ“

ამერიკელ-ეგვიპტელ ორმხრივ მოლაპარაკებაში „არავინ არ უნდა მოელოდეს ჩვენგან, რომ კაროში წავალთ“

ორაორაგროვანი უარი

ვაშინგტონი, 3 იანვარი. (საკდესი). ორდანიის მეფემ ჰუსეინმა ამერიკის სატელევიზიო კომპანია სი-ბი-ესისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა ვერ მოახერხა მონაწილეობა მიაღებინოს ახლაელ-ეგვიპტის ორმხრივ მოლაპარაკებაში, „არავინ არ უნდა მოელოდეს ჩვენგან, რომ კაროში წავალთ“ — თქვა მან. ორდანია, ვერ ხედავს ამ მოლაპარაკებაში კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივას.

პრეზიდენტის ინტერვიუ

ვაშინგტონი, 3 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის პარიზში მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ფანკარ დესტენმა ამერიკის სატელევიზიო კომპანია ეი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობის გარდა განიხილოს ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების პრობლემა.

უპასუხა რა კითხვაზე ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პროცესში საფრანგეთის როლის შესახებ, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საფრანგეთი „მზად არის ხელი შეუწყოს მშვიდობიან გადაწყვეტას“, მაგრამ არ სურს მონაწილეობა მიიღოს ახლანდელ დისკუსიებში.

ვიეტნამ-კამპუჩიის საგზაურგე მომხდარი ამბების გამო

პარიზი, 3 იანვარი. (საკდესი). ბანგკოკიდან გადმოცემული ინფორმაციაში ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ვიეტნამ-კამპუჩიის საზღვარზე მომხდარ ამბებთან დაკავშირებით იუწყება, რომ კონფლიქტის მონაწილე კამპუჩიის სამხედრო ქვეგანაყოფები „თითქმის მთლიანად ჩინური იარაღით არიან აღჭურვილი“.

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). იმოწმებს რა პონკინგის გაზეთ „საუტ ჩაინა მორნინგ პოსტს“, ასოციეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ „ჩინეთის სამხედრო მოსამსახურენი რამდენიმე თვის წინანდელ ამუშავებდნენ კამპუჩიის შეიარაღებული ძალების საბრძოლო სტრატეგიას“.

პარიზი, 3 იანვარი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ კამპუჩიამ შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ვიეტნამთან, კამპუჩიის ელჩმა ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში საელჩოს სხვა თანამშრომლებთან ერთად დატოვა ჰანოი და პეკინს გაემგზავრა, იუწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი. კამპუჩიელი დიპლომატები, აღნიშნავს საგენტო, ჰანოის აეროპორტში მიიყვანეს ჩინეთის საელჩოს ავტომანქანებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის თანხლებით.

ოლქოლედ ყოველნი მსრბენენ

აფუმყიანებენ გარემოს

● **ოტავა.** მრავალეროვანი ხალთამადნო კორპორაციები, რომლებიც კანადაში მოქმედებენ, აფუმყიანებენ გარემოს მავნე სამრეწველო ნარჩენებით. მაგალითად, კანადის გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემებით, ორი სამთამადნო კომპანია „ინტერნეშნელ ნიკელ. კომპანი ოფ კანადა“ და „ფოლკონ ბრიჯ ნიკელ მაინზი“ ყოველწლიურად აყენებს გარემოს ზიანს, რომელიც 465 მილიონ დოლარს უდრის.

მასობრივი გაკოტრება

● **ბუენოს-აირესი.** გასულ წელს არგენტინაში გაკოტრდა 318 ფირმა. მათი დავალიანების საერთო თანხამ, ეფრანგ „ვერტასის“ მონაცემებით, შეადგინა 56 მილიონამდე დოლარი. 1976 წელს გაკოტრდა 134 ფირმა. ეფრანგების აზრით, მასობრივი გაკოტრება გამოწვეულია ეკონომიკური კრიზისით, რომელსაც ქვეყანა განიცდის.

დაითხოვეს 200 ათასი მუშა

● **პარიზი.** პროფკავშირების მონაცემებით, საფრანგეთის სამშენებლო ფირმებმა 1972 წლიდან დაითხოვეს 200 ათასი მუშა. ამ პერიოდში კონკურენციას ვერ გაუძლო და დაიხურა ათიათასობით წვრილი და საშუალო სამშენებლო საწარმო. მასობრივი დაუხვენის პასუხად მშრომელნი აფართოებენ ბრძოლას, მოითხოვენ დასაქმების უზრუნველყოფას და ხელფასის მომატებას.

უოფილი პრეზიდენტის მოწოდება

● **ნიუ-იორკი.** ჩილეს უოფილმა პრეზიდენტმა, ხუნტის მიერ აკრძალული ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ე. ფრეიმ მოუწოდა ჩილეს ხალხს მომავალ „რეფერენდუმზე“ უარყოს ფაშისტური რეჟიმი. „რეფერენდუმი“ პინოჩეტს განზრახული აქვს როგორც „პასუხი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისადმი, რომელმაც სპეციალურ რეზოლუციაში გადაჭრით დაგმო ადამიანის უფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევა ჩილეში.

ეხენი. მძლავრი მანიფესტაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოკალაქეთა დემოკრატიული და სოციალური უფლებების განხორციელებისათვის გაიმართა რურის მხსვილ სამრეწველო ცენტრში. დემონსტრაციასა და მიტინგში მონაწილეობდა 35.000-მდე მუშა, ხუდენტი, პროფკავშირული აქტივისტი.

სურათზე: ქალაქის ქუჩებში გამოსული ქალები მოითხოვენ ქალთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას.

საკდესის ფოტო.

ადამიანის უფლებები ამერიკულად

ამერიკელი ჟურნალისტი ამხილებს

სან-ფრანცისკო, 2 იანვარი. (საკდესი). „ადამიანის უფლებანი ამერიკულად“ — ასე ეწოდება ცნობილი პუბლიცისტის, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწის ჯ. ლაიტფუტის წიგნს, რომელიც აქ გამოვიდა. მასში დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ შეერთებულ შტატებში ახლანდელი „დემოკრატიის“ ჩამოყალიბებას თავიდანვე თან ახლდა მკვიდრი მოსახლეობის — ინდიელების დაუნდობელი მოსპობა და ჩახშობა, ზანგებისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სასტიკი ექსპლოატაცია, ქალთა უუფლებობა, მე ვადაგწყვიტე მივმართო ამ თემას, ბოს უსვამს ავტორი, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები თვალთმაქცობს, „ადამიანის უფლებათა დამცველად“ მოაქვს თავი მთელი მსოფლიოს თვალში.

ჯეტოში აღზრდილმა შავკანიანმა ამერიკელმა ჯ. ლაიტფუტმა საკუთარი მწარე გამოცდილებით ნახა, თუ რა ფასი აქვს უბადლოდ „თავისუფლებებს“ შეერთებულ შტატებში. „ქლასებად დაყოფილ საზოგადოებაში. — წერს იგი, — დემოკრატია შეუძლებელია როგორც თეთრკანიანებისათვის, ისე შავკანიანებისათვის. ერის ჩამოყალიბების მომენტიდან დღემდე მთავრობა მუდამ მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც შეესაბამება დიდი ბიზნესის ინტერესებს“.

რასიზმმა, ნათქვამია წიგნში, ამოგეას მიაღწია და საშინელი ფორმები მიიღო ამერიკაში. იგი დაიწყო მკვიდრ მცხოვრებთა შეევწროებით და ზანგთა დამონებით და შემდეგ გაგრცელდა არათეთრკანიანი მოსახლეობის ყველა ჯგუფზე.

აღწერს რა ამერიკის კოლონიზაციის პერიოდს, ჯ. ლაიტფუტი აღნიშნავს, რომ მას თან ახლდა მიტაცება და ძალადობა გამდიდრების მიზნით. „პირველ კოლონისტთა ბარბაროსობამ ინდიელთა მამართ ამერიკის ისტორიაში ნასაბამი მისცა პერიოდს, რომელიც დღემდე გრძელდება. ინდიელებს სპობდნენ სამხედროფორმიანი რაზმები და ახალმოსახლეთა და ვაჭართა ბანდები, რომლებსაც ეს მიაჩნდათ მიწებისა და ბუნების სიმდიდრეთა შეძენის უმარტივეს საშუალებად. 1868 წლის დამლევს 400 ხელშეკრულებიდან, რომლებიც მთავრობამ ინდიელ ტომებთან დადო, არ გვგონია დარჩენილიყოს თუნდაც ერთი, რომელიც ხელისუფლებს არ დაერღვიოს. სანამ ბოლო არ მოღებია გენოციდის პოლიტიკას მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, აღნიშნულია წიგნში, სანამ ინდიელებს მთლიანად არ მიუღიათ თავიანთი უფლებები, ლაპარაკიც კი ზედმეტია „თავისუფლებებზე“ ამერიკაში.

„აპიტალიზმის განვითარების კვალობაზე, განაგრძობს ჯ. ლაიტფუტი, ზანგების ჩაგვრამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომლის პრეცენდენტი არ მოიპოვება ისტორიაში. რასიზმი ვრცელდება აგრეთვე სხვა ეროვნული უმცირესობების, კერძოდ ესპანური და აზიური წარმოშობის უმცირესობების წარმომადგენლებზე. „შეერთებული შტატები, — ბოს უსვამს ავტორი, — ადამიანის უფლებების ყველაზე ბოროტი დამრღვევია, როგორიც კი ოდესმე უნახავს მსოფლიოს“.

ბურჟუაზიული დემოკრატიის საზოგადოებაში უთანასწორობის ერთ-ერთ ადგილზე ერთი დამადასტურებელია, ნათქვამია შემდეგ წიგნში, ქალების ჩაგვრა. ქალებისათვის შეერთებულ შტატებში დღემდე თითქმის მიუწვდომელია პოლიტიკური და ეკონომიკური ხელისუფლება.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ბოს უსვამს ჯ. ლაიტფუტი, რასისტ ფანატიკოსთა ტაშის გრიალში დიდი რიხით ლაპარაკობს ადამიანის უფლებებზე სხვა ქვეყნებში. მაგრამ ეგი არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეზღუდოს მოქალაქეობრივ უფლებათა დარღვევის მასშტაბი თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენ გვპირდება ისეთი მთავრობა, აღნიშნულია წიგნში, რომელიც შეზღუდავდა კორპორაციების ძალაუფლებას, მონოპოლია რომ დაამყარეს ამ ქვეყნის სიმდიდრეზე. საჭიროა შევთუშაოთ პროგრამა, რომელშიც სახსრების განაწილებისას გითვალისწინებული იქნებოდა უმუშევრობის, ზანგების, ინდიელების, ესპანური და აზიური წარმოშობის ამერიკელების, აგრეთვე თეთრკანიანი მოსახლეობის ღარიბი ფენების საჭიროებანი.

საგარეო პოლიტიკის დარგში საჭიროა მივაღწიოთ მტკიცე მშვიდობის დამყარებას, რაც საშუალებას მოგვცემდა ორსეებითად შეგვემცირებინა სამხედრო ხარჯები და დაზოგილი სახსრები გამოგვეყენებინა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად, ჯურღმულებისა და ჯეტოების ლიკვიდაციისა და „ავადმყოფი“ ქალაქების მკურნალობისათვის.

ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის

„ჩინური ქედლის“ მილვა

ომის „გარდაუვალობის“ ნიღბით

დღე ისე არ გავა, ჩინეთის რომელიმე ხელმძღვანელმა ან პეკინის რომელიმე ცენტრალურმა გაზეთმა არ განაცხადოს და ამტკიცოს, რომ ახალი მსოფლიო ომი „გარდაუვალიაო“. ამას ლაპარაკობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ჭუან ჰუა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, ამ იდეას შთაგონებდნენ ჩინელი ხელმძღვანელები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს გენშერს, რომელიც ვიზიტად იმყოფებოდა ჩინეთში. ამას წინათ ასეთივე განცხადება გააკეთა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ დენ სიაო-პინმა. ფრანს პრესის საგენტოს პრეზიდენტ — გენერალური დირექტორისათვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, მსოფლიო ომი „გარდაუვალიაო“ და დასავლეთის ქვეყნებს ურჩია ხელი აიღონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსზე, რასაც „დაშშმინების“ პოლიტიკა უწოდა. დაძაბულობის შენელების ნაცვლად, დენ -სიაო-პინის აზრით, საჭიროა „სამზადად მზადება სამხედრო და იდეოლოგიური თვალსაზრისით“.

მაოისტური თეზისი მსოფლიო ომის „გარდაუვალობის“ შესახებ ახალი არ არის ჩინეთის პროპაგანდისათვის. ამჟამად იგი ჩინეთის კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებებშიც კი შეიტანეს. ამ ყრილობაზე გამოსვლისას ჭუა გო-ფენი ამტკიცებდა, რომ მსოფლიოში „მზიფდება ომის ფაქტორი“, რომ ადრე თუ გვიან „აკვლევ იფეთქებს მსოფლიო ომი“, და ყოველგვარ „მტკიცე მშვიდობაზე“ ლაპარაკი ზედმეტია.

შესაძლოა ამ განცხადებისათვის ყურადღება საერთოდ არ მიგვექცია, სანამ მარტო პროპაგანდისტულ პოლემიკას რომ ეხებოდეს. სამწუხაროდ, პეკინის ასეთი დებულებები მიზნად ისახავს დაძაბულობის შენელების კურსის ჩაფუშვას, მსოფლიოს შეტაკებას „ცივი ომისა“ და კონფრონტაციის სანგრებში.

ომისა და მშვიდობის საკითხი უშუალოდ ეხება თითოეულ სახელმწიფოს, ყველა ხალხის საარსებო განდისათვის. ამჟამად იგი ჩინეთის კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებებშიც კი შეიტანეს. ამ ყრილობაზე გამოსვლისას ჭუა გო-ფენი ამტკიცებდა, რომ მსოფლიოში „მზიფდება ომის ფაქტორი“, რომ ადრე თუ გვიან „აკვლევ იფეთქებს მსოფლიო ომი“, და ყოველგვარ „მტკიცე მშვიდობაზე“ ლაპარაკი ზედმეტია.

„ნატვრის ხე“

ეკრანზე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოები

ის გამორჩეული ინტერესი, რაც ქართული მხატვრული ფილმის „ნატვრის ხისადმი“ მაუურებელმა გამოიჩინა, გასაგებია: — მისი ავტორის დიდი ხელოვნება, დაუშრეტელი ფანტაზია, ღრმა და ორიგინალური მხატვრული აზროვნება, მაღალი პროფესიონალიზმი საყოველთაოდ აღიარებულია. არც ამჯერად დავრჩით ოდნავ მაინც გულხალლური. „ნატვრის ხე“ კიდევ ერთი ბრწყინვალე გამოსახვებაა რეჟისორ თენგიზ აბულაძის ნიჭისა, კიდევ ერთი მშვენიერი ნიმუშია ეროვნული კინოხელოვნებისა, კიდევ ერთი გამარჯვებაა „ქართული ფილმისა“ და იმ შემოქმედებითი კოლექტივისა, რომელიც ამ ფილმის შექმნაში მონაწილეობდა.

თენგიზ აბულაძეს ჯეროვანი ღვაწლი მოუძღვის ქართული კინემატოგრაფის აღზრდაში. მისი ყოველი ახალი ფილმი საეტაპო მნიშვნელობის მხატვრულ ნაწარმოებად რჩება და ცოცხლობს ხელოვნებაში.

ჯერ ახალფეხადგმულმა „ნატვრის ხემაც“ უკვე მოასწრო მიეღო პირველი პრიზიები მეათე საკავშირო და თეირანის საერთაშორისო კინოფესტივალებზე, სადაც საბჭოთა და უცხოეთის მრავალი სახელგანთქმული კინოსტუდია და კინოფირმა იყო წარმოდგენილი თავიანთი საუკეთესო რეჟისორებითა და მათი ახალი მხატვრული ფილმებით.

თანამედროვე კინოხელოვნებაში, კერძოდ ქართულშიც, აშკარაა ფილოსოფიური სიღრმეების ძიება, ზოგადადამიანური, მარადიული კომპლექსების ახლებური ინტერპრეტაცია, მხატვრული აზროსანთვის მასშტაბურობის მინიშვნის წადილი, სიმბოლიკური და მეტაფორული აზროვნებისადმი სწრაფვა. ეს სულაც არ ჩრდილავს, არ აგიწროებს დიდ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემატიკას, არ რეალური, ყოფითი ცხოვრების სურათების თუ უშუალოდ სინამდვილიდან აღებული ხასიათების მეორე პლანზე გადანაცვლებას ნიშნავს. ხელოვნებას მთელი სიმშვენიერე მის მრავალფეროვნებაშია.

„ნატვრის ხე“ „ერთი შეხედვით რა საკვირველია უნდა იყოს ეს, ბევრწლად ენაოვანი „ვედრებას“. ამ ფილმში რეჟისორმა ეკრანიზაციის ყველაზე რთული სახეს მიმართა, როცა მწერლის ერთი რომელიმე ნაწარმოების მთლიანი გადატანა კი არ ხდება კინოსცენაზე, არამედ მთელი შემოქმედიდან, ან ნაწარმოებთა მთელი რიგიდან ერთი გარკვეული პრობლემა შეირჩევა და მისი მიხედვით ხდება სხვადასხვა სუბიექტურ ხასიათა თუ სახეთა მონტაჟი, რამდენიმე ნაწარმოების ერთ მხატვრულ სტიულად შეკვრა და ჩამოქნა.

ფილმის „ნატვრის ხე“ ბევრ ბევრწლად მისმა ლიტერატურულმა სცენარმა გადაწყვიტა, რომლის ავტორებიც არიან თენგიზ აბულაძე და რეზო ინანიშვილი. ამ შესანიშნავ მწერალთან, გიორგი ლეონიძის სამყაროსა და სულის მართლაც მესაიდუმლეთან რეჟისორის თანამშრომლობამ საოცარი ნაყოფი გამოიღო.

ამ ფილმისათვის უშუალოდ მხოლოდ რამდენიმე მოთხრობაა გამოყენებული გიორგი ლეონიძისა — „ნატვრის ხე“, „ფეფალა“, „სოფლის მარაზი“, „ცეცეკორე“, „მარიტა“, „ჩორები“, — თუმცა სხვა მოთხრობებიდანაც, თელი წიგნიდან არის ძოთხრობილი ცალკეული დეტალები, მხატვრული ასპექტი, განწყობილება. ფილმში ყველაფერი, მთლიანად ყველაფერი გიორგი ლეონიძის ამ კლასიკური პირველწყაროდან მოდა, მაგრამ, ეიუხედავად ამ ერთგულებისა, აბულაძის მხატვრული გაგების წყალობით საოქმელი ისეა გამძაფრებული, რომ ეს წიგნისათვის ეკრანზე მინიჭებულ ახალ სიცოცხლეს კი არ ნიშნავს მხოლოდ, არამედ ახალი სიღრმეებისა და ძალის მინიჭებასაც. ბავშვობის მოგონებით შთაგონებული სევდიანი და ლირიკული მოთხრობები გიორგი ლეონიძისა ეკრანზე მძაფრ ტრაგედიად ადიაქცა.

სცენარის ავტორების ნამუშევარი ნამდვილად განსაკვირვებელია. გიორგი ლეონიძის მოთხრობები ისე ორგანულად არის ერთმანეთთან შერწყმული მთლიანი სუბიექტით, ხასიათების დაპირისპირეთით, მოქმედების ერთიანობითა და მძაფრი, დინამიკური განვითარებით, და ბოლოს, ფინალში არამცთუ მთავარ სათქმელს, ყველა მოტივსა და სახეს ისეთი ლოგიკური მხატვრული წერტილი აქვს მოძებნილი, რომ დაოჯერებელი ხდება სცენარის მონტაჟური ხასიათი და იგი თავიდანვე ერთ მთლიან, მკაცრად გაანრიებულ, შეკრულ ნაწარმოებად წარმოგვიდგება. ეკრანიდან ჩვენ გვესმის გიორგი ლეონიძის, როგორც თავად იტყოდა, „მოუბლადი, ბედაური, მაძღარი სიტყვა“ და ფილმის წარმატებაში ამას თავისი დიდი წვლილი შეაქვს.

„ნატვრის ხე“ მარტო ეკრანიზაციის პრინციპებით კი არა, უფრო ზოგადი თვალსაზრისითაც, პრობლემატიკითაც იგრძელებს „ვედრების“ პათოსს. აქაც სიკეთისა და ბოროტების მარად საბედისწერო შეუთავსებლობა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მთავარი, თემაა, ცხადია, სულ სხვა სიუჟეტურ ჭრილში, მასალასა და სახეებშია გაცხადებული. მხატვრული აზროვნების ფალასზრისითაც შეიმჩნევა ამ ორ ფილმში საერთო. ... ...

ქართველ მეცნიერთა ჰორიზონტები

ხელოვნური წვიმა ყანებში

ავსტრალიიდან თბილისს დაბრუნდა ამერიკაკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიისა და აქტიური ზემოქმედების ფიზიკის განყოფილების გამგე ბ. ბერიტაშვილი. ეს მონაწილეობა მიიღო ექსპერტთა საერთაშორისო თათბირში, რომელიც მიეძღვნა „ნალექების გადიდების პროექტის“ სტატისტიკური შეფასების. პროექტს ამუშავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია.

ბ. ბერიტაშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო საბჭოთა სპეციალისტია ნალექების ხელოვნური გამოწვევის კვლევის დარგში. მეცნიერი ამერიკაკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ გ. სვანიძესთან ერთად ზემოთხსენებული პროექტის განხორციელების ხელმძღვანელი საბჭოთა კომიტეტის წევრია.

ცვალებადი ამინდი, გვალვები მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ ხშირი გახდა იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც წინათ ხშირი წვიმებით იყო ცნობილი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ბერიტაშვილმა. ამან გაზარდა მეცნიერთა ინტერესი ნალექების ხელოვნური გამოწვევის დარგის ნაშრომებისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართვაც ევროპის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ნაკლებგანვითარებული ქვეყნების წარმომადგენლები და თხოვეს დახმარებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ნალექების ხელოვნური გამოწვევის საშუშაოთა ორგანიზაციაში. ამასთან დაკავშირებით მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის XXIV სესიასა და მეძვიდე კონგრესზე ღიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ნალექების გადიდების პროექტის“ შემუშავების შესახებ.

სსრ კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში უკვე ოც წელზე მეტია ინტენსიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს სხვადასხვა ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების მიზნით. ეს გავლენა ამოცანების გადაჭრის მდიდარი გამოცდილება დაადგროვეს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებმა და სპეციალისტებმა. ძაგალითად, ამერიკელები ანა. და ჩეა ანზამი, ჩოლდავეთსა და უკრაინაში მოწყობილია სეტყვასთან ბრძოლის საწარმოო სამსახურები. უკრაინელი სპეციალისტები სწავლობენ ნისლთან ბრძოლას, რაც ამაღლებს საბოქაოო ავიაციის ეუნაობის ეფექტიანობას. „საქართველოში 1978 წლიდან დაიწყება ნალექების ხელოვნური გამოწვევის ექსპერიმენტული სამუშაოები.

(საქინფორმი).

სამეცნიერო ცენტრი ვიეტნამისათვის

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ვინ-ფუს პროვინციაში ქართველ სპეციალისტთა პროექტებით დაიწყო ჩაის მრეწველობის სამეცნიერო ცენტრის აშენებლობა. ამასთან დაკავშირებით ვიეტნამის ოკეანალისტურ რესპუბლიკაში გაემგზავრება პროექტის ავტორთა ჯგუფი, რომლებიც ვიეტნამელ მშენებლებს ადგილზე გაუწევენ პრაქტიკულ დახმარებას.

სამეცნიერო ცენტრს ექნება სამი ძირითადი საწარმოო განყოფილება — ჩაის ტექნოლოგიის, წარმოების მექანიზაციისა და ტექნიკური ბიოქიმიის განყოფილებები. აქ შეიქმნება აგრეთვე ინფორმაციის ვრცელი სეკტორი, სადეგუსტაციო დარბაზები, ჩაის ბიბლიოთეკა.

ცენტრისათვის მოწყობილობას გაგზავნის საბჭოთა კავშირი. ეს იქნება ელექტრონულ-ოპტიკური ხელსაწყოები, ქრომატოგრაფები, ამინომჟავების ანალიზატორები და სხვ.

პროექტის შექმნისას ქართველმა სპეციალისტებმა გაითვალისწინეს ტენიანი სუბტროპიკების სპეციფიკა. ცენტრი ითვალისწინებს ძაქსიმალურ პირობებს იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია ჩაის მოკლა-მოყვანასთან, კრეფასა და ჭადამუშავებასთან. (საქინფორმი).

სოხუმური სუვენირები

ახლახან ცეკავშირის „საქკოოპმრეწვის“ ხამმართველოს ხოხუმის მრეწველობის კომბინატმა აითვისა ხუვენირების გამოშვება. ლამაზი, მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ბედური პანოები, ნამჭისაგან შექმნილი მხატვრულ-დეკორატიული ნაწარმი ხინატფითა და ელეგანტურობით გამოირჩევა.

ისეთი ნაკეთობანი, როგორიც არის „ბრიგანტინა“, „გელათის მონასტერი“, „მეეზოვე“, „მგელი და კურდღელი“, „მოცეკვავე“, შესრულებულია მაღალი ოსტატობით.

კომბინატის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა, ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში. კომბინატის კოლექტივმა მუშაობა დაიწყო დიდ შეკვეთაზე მოსკოვის მომავალი ოლიმპიადა — 80-ისათვის. სურათზე: ხაწარმოს ერთ-ერთი ბოუკეთესო მუშაკი, ხოხუმის ხამხატვრო ხასწავლებლის კურსდამთავრებული ლარისა ისმელია.

ი. ბუხნიკაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ღლის საუკეთესო სპექტაკლი

„ხანამ ურემი გადაბრუნდება“ — დათვალიერებაში გამარჯვებული

ქართველი მწერლის ო. ოსელიანის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ხანამ ურემი გადაბრუნდება“, რომელიც დადგა მოლდავეთის ა. ს. პუშკინის სახელობის აკადემიურმა მუსიკალურ-დრამატულმა თეატრმა, აღიარებულია 1977 წლის ბოუკეთესო ნამუშევრად. მან გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრ კავშირის ხალხთა დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების სრულიად ბაკავშირო ფესტივალის რესპუბლიკურ დათვალიერებაში. დამდგმელებისა და შემსრულებლების გაბედული შემოქმედებითი ძიებით, მაღალი ოსტატობითა და ნიჭით გამორჩეულმა ამ სპექტაკლმა ყიურისა და მაყურებლების მოწონება დაიმახსოვრა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლების ნაწარმოებებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს მოლდავეთის თეატრების რეპერტუარში. მათს სცენებზე მოდამ წარმატებით იდგმება სპექტაკლები საბჭოთა დრამატურგიული კლასიკის ოქროს ფონდიდან, ახალგაზრდა ავტორთა პიესები. ფესტივალის დღეებში ტირასპოლის რუსულმა დრამატულმა თეატრმა აჩვენა სპექტაკლი „გამოსათხოვარი ვალსი“, რომელიც დადგა ქართველი დრამატურგის რ. თაბუკაშვილის პიესის მიხედვით.

ბიგნის თარო

მწერალი-ცხოვრების მხარდამხარ

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი წიგნები

„უველაზე დიდი სიკეთე კაცობრიობას უანგარო ადამიანებმა მოუტანეს. მე მუდამ ვცდილობდი, ცხოვრებაში ასეთი ადამიანები შეპოვნა და ჩემი წიგნების ფურცლებზე დამესახლებინა...“ — წერს: გამოჩენილი ქართველი მწერალი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავისი რჩეული თხზულებების წიგნთაქშაში (გამოვიდა ორი ტომი). ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებრიობამ დიდი ხანია შეიყვარა და ცხოვრების მეგობრად გაიხადა სახალხო საქმისათვის თავდადებული უანგარო ადამიანებით დასახლებული მწერლის რომანები და მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები. ამიტომაც მის ყოველ ახლადგამოსულ წიგნს გამახვილებული ყურადღებით და ინტერესით ხვდებიან.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის რჩეული თხზულებები „მერანმა“ გამოსცა (ვ. ძიძიგურის რედაქციით. გამომცემლობის რედაქტორი — მ. ქოთავა, მხატვარი — ლ. ცუცქირიძე). პირველ ტომში დაბეჭდილია მწერლის პოპულარული მოთხრობები, ნოველები და ჩანახატები, მეორე ტომში კი ცნობილი რომანი „კოლხეთის ცისკარი“.

ჩვენი წიგნის თაროს შეემატა მწერლის მეორე წიგნიც. ეს არის ვრცელი დოკუმენტური ნარკვევი „რა მოხდა აბაშაში“ (ქართული სოფლის ქრონიკები), რომელიც ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებრიობამ პირველად გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გაიცნო. ეს წიგნი (გამოსცა „განათლებამ“, რედაქტორი — ხ. ბერულავა, მხატვარი — რ. ქანდარია), მწერალმა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიუძღვნა.

საზოგადოების კონფერენცია

გაიმართა საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მეექვსე კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

კონფერენციი ძესაალი სიტყვით გახსნა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. ელგეგულაშვილმა.

ძოხსენება პრეზიდიუმის მიერ მეხუთე და მეექვსე კონფერენციებს შორის გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა საზოგადოების თავმჯდომარემ ო. გიგინეიშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კამათში მონაწილეობდნენ საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ჭკადუა, გაზეთ „საქმობლოს“ რედაქტორი გ. კარბელაშვილი და სხვები.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელვარგარეთის საქმეთა მუდმივი კომისიის წევრმა ხ. კეკვაძემ.

კონფერენციამ საზოგადოების პრეზიდიუმის გაზეთის — „საქმობლოს“ მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო.

აირჩიეს საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობები.

გაიმართა საზოგადოების საბჭოს პირველი სხდომა, რომელიც პრეზიდიუმის არჩევნებს ეიეძღვნა. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ო. გიგინეიშვილი, მოადგილეებად რ. ელგეგულაშვილი და გ. გალოგრე. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ლიდერმანი. გაზეთ „საქმობლოს“ რედაქტორად დამტკიცებულია გ. კარბელაშვილი. (საქინფორმი).

„კომუნისტის“ ფოსტიდან

უფროსების მხარდამხარ

● ქოგულეთი. ციხისძირის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები კოლმეურნეობის № 8 ბრიგადას ეწვევნენ და ციტრუსების კრეფაში დაეხმარნენ. ერთ დღეს მათ ორ ტონამდე ციტრუსი მოკრიფეს.

რ. ზოიძე

ხარისხის ნიშნით

● თელავი. ღვინის მრეწველობის წინანდლის საწარმოო გაერთიანების თელიანის ქარხანა წარმატებით შრომობს ღვინისი „ყველა პროდუქცია — ხარისხის ნიშნით!“ ქარხანამ უკვე გადაამუშავა 3.700 ტონა ყურძენი და 30000 დეკალიტრი ღვინო ჩამოასხა. აქ ექვსი დასახელების პროდუქციიდან ხუთს სახელმწიფო ნიშანი აქვს.

ქარხნის მიერ გამოშვებული სალეკსპორტო ღვინო კუბისა და დანიაში იგზავნება.

მ. ჭიჭიაშვილი.

ქრმია ქღზრდის სკოლა

შვილი ჯარში მსახურობს

თბილისი, ნარიან ხოკელარაშვილს

ჩვენმა სამხედრო ნაწილმა წარმატებით შეასრულა ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის აღებული სოციალისტური ვალდებულება. ამ საერთო მიღწევებში თვალსაჩინოა თქვენი შვილის პაატას როლი. პაატა თავის ხელმის ჩინებული ოსტატია, ნაწილში ხარგებლობს ავტორიტეტით, მიღებული აქვს არაერთი წამახალისებელი ჯილდო.

სამხედრო ნაწილის მეთაურთა შემადგენლობა, აარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები დარწმუნებული არიან, რომ პაატა მუდამ იქნება შრომის მოწინავე ადამიანი, სამშობლოს ერთგული დამცველი. იყავით ბედნიერი. ასეთი დედების მიმართ მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალული.

პ. ბოგოვი — სამხედრო ნაწილის მეთაური, ვ. ხეროვი — მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

...

დაბა, გეგეჭკორი, მარგო ჩიქვანაიას



ავთანდილ ჩიქვანაიამ 1973 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ხიმწოფის ატესტატის მიღებისთანავე ტუაგოს საბჭოთა მეურნეობას მიაშურა. დადგა მხედრული ვალის მოხდის დრო და ავთანდილიც პირველი მივიდა გასაწვევ პუნქტში.

ამ დღეებში ა. ჩიქვანაიას დედამ — სოციალისტური შრომის გმირმა მარგო ჩიქვანაიამ ნაწილის სარდლობისაგან, სადაც ავთანდილი მსახურობს, ასეთი შინაარსის ბარათი მიიღო:

— თქვენმა შვილმა თავისი კეთილსინდისიერი საქციელით, საბრძოლო დავალებების ბრწყინვალედ შესრულებით ნაწილის ხელმძღვანელობის მადლობა და ქების სიგელი დაიმსახურა, მას მიენიჭა „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ წოდება. მადლობა ასეთი ახალგაზრდის აღზრდისათვის.

ალ. კუკანია, გეგეჭკორის რაიონული გაზეთის „შრომის დროშის“ განყოფილების გამგე.

...

თბილისი, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო ფაბრიკა, ქეთევან კოტლაშვილს



თქვენი შვილიშვილი ვახტანგი სამხედრო ხაწილის მოწინავე მებრძოლია. ოთხელის პიოველი დღეებიდანვე მან პატიოსანცეა დამმსახუოა, ძართალი და დისციპლინაანი მებრძოლია, სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. ნაწილის მეთაურთა შემადგენლობამ არაერთხელ წაანალისა იგი, მინიჭებული აქვს ეფრეიტორის წოდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვახტანგი მომავალშიც მოსაბაძი იქნება, როგორც მებრძოლი, მოქალაქე, ადამიანი.

რა თქმა უნდა, ვახტანგის, როგორც მოწინავე ადამიანის ჩამოყალიბებაში დიდი, პატივცემული ქეთევან, თქვენი წვლილი. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას.

ნ. კოსტარევი, სამხედრო ნაწილის მეთაური.

ჭადრაკი

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

ბელგრადი, 3 იანვარი. (საკდესი). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეთოთხმეტე პარტია ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოის შორის გადაიდო 41-ე სვლაზე.

ბელგრადი, 3 იანვარი. (საკდესი). მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეთოთხმეტე პარტიის გადათამაშების დროს ბორის სპასკიმ 59-ე სვლაზე დაამარცხა ვიქტორ კორჩნოი.

მატჩის ანგარიშია 6,5:7,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

* * *

ბორის სპასკიმ იუგოსლავიის დედაქალაქში გაიკეთა განცხადება პრესისათვის, რომელიც გამოქვეყნებულია საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც მატჩზე გამოდის.

„ყოველ მოჭადრაკეს, — ნათქვამია განცხადებაში, — თამაშის დროს უფლება აქვს როგორც უნდა ისე გამოიყენოს თავისი დრო. ეს არ ეწინააღმდეგება ფიდეს წესებს და არ ირღვევს ამ მატჩის შეთანხმებულ პირობებს“.

მაგრამ, იცადეს შემდეგ სპასკი, კორჩნოის, ეტყობა, როცა თავის მოთხოვნებს აყენებს, კარძოდ, როცა მოთხოვს სცენიდან გაიტანონ სალმონსტრაციო დაფა და გადაადგილონ დასასვენებელი ოთახები, ჰგონია, რომ „მის განკარგულებაშია ჩემი დროც, რომელიც მორიგი სვლის მოსაფიქრებლად მაქვს გამოყოფილი“.

„კორჩნოის არც ამის უფლება აქვს, — წერს სპასკი, — რომ კონტროლი გამიწიოს, და არც ამისა, რომ ხელი შემიშალოს სვლის მოფიქრებაში იმ დროს, როცა ჩემი საათი მუშაობს, რადგან ეს უკვე ფიდეს წესების აშკარა დარღვევაა“.

ფეხბურთი

ჭაბუკთა ტურნირები

ახალი წლის დაწყებიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე თითქმის ერთდროულად აიღო სტარტი ქვეყნის ჭაბუკთა გუნდების სამმა სრულიად საკავშირო ტურნირმა.

ბათუმში დაიწყო ჭაბუკთა გუნდების სრულიად საკავშირო ტურნირი „ეგეგობრობის“ თასზე, რომელიც ეიძღვნება საბჭოთა კავშირის გმირის ა. ჭინჭარაძის სსოგონას. დიდი სამამულო ომის გმირის საპატიო პირზის მოსაპოვებლად ჩამოვიდა 12 გუნდი (ტამკენტიდან, ფრუნზედან, ვლადიმიროდან, ტუაფსედან, თბილისიდან და სხვ. ტურნირის მასპინძელი წარმოდგენილი არიან ორი გუნდით — დინამოელებით და აკადემიის ნაკრებით.

გაიმართა პირველი შეხვედრები: ეროვნელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ქალაქ ვლადიმირის გუნდი, ბათუმის დინამოელებმა ანგარიშით 1:0 მოუგეს თანატოლებს ქალაქ მარიოდან.

სოხუმში ახალ სტადიონზე სტარტი აიღო ქვეყნის ჭაბუკთა 11 გუნდმა. ისინი ერთმანეთს ეცილებიან სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის თბილისის „დინამოს“ მეკარის ვ. მარღანის სახელობის პრიზს. წარსულში საზელკანთქმული მეკარის პრიზის მოსაპოვებლად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდი, მოსკოვის დინამოელები, უზეკეთის ნაკრები, ერევნის ოლიმპიური რეზერვების საფეხბურთო სკოლის გუნდი, ლენინგრადის „სმენა“, ყირგიზეთის ნაკრები და სხვ.

3 იანვარს გაგრაში დაიწყო ტურნირი სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრის, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტნის შ. ომანიძის პრიზზე. თვალსაჩინო საბჭოთა ფეხბურთელის ხსოვნის პრიზს გაიმარჯვებს 12 გუნდი; მოსკოვის ახალგაზრდობა საფეხბურთო სკოლის, ერევნის „არარატის“, ყაზანის „რუბინის“, ქუთაისის „ტორპედოს“, თბილისის, როსტოვის, და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების გუნდები.

სულ ჭაბუკთა ამ ტურნირებში მონაწილეობს 35 გუნდი. ტურნირები დამთავრდება იანვრის შუა რიცხვებში. (საქინფორმი).

პროფესიული ფეხბურთის სამყაროში

მცირდებიან...

რიო-დე ჟანეირო, 3 იანვარი. (საკდესი). ინფლაციამ და სიძვირემ, რომლებიც ძძძე ტვირთად აწვება ბრაზილიის მშრომელებს, არც ბრაზილიის ფეხბურთი დატოვა „უყურადღებოდ“.

ოდესღაც სახელგანთქმული ფეხბურთის კლუბი „სანტოსი“, რომელშიც გამოდიოდა პელე, ძძულებულია, შაგალითად, შეამციროს თავისი შემადგენლობა. 45 ფეხბურთელიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონტრაქტს კლუბთან, მისმა ხელმძღვანელებმა გაუიდეს 21. ამ ინფორმაციებს მენეჯერებმა მიმართეს ეკონომიის მიზნით.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

...

ბ. ბერიტაშვილი — აფხაზეთის ასსრ ხახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი, ო. ბარძაია — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმწიფო ავტოინსპექტორი, ნ. ფოფხაძე — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო ინსპექტორ-ზედამხედველი, კ. ჭანია — აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გადაზიდვის განყოფილების უფროსი, ბ. ზანთარია — აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გადაზიდვათა განყოფილების უფროსის მოადგილე, ი. გოგეჩია — „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

...

4 იანვარი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — ლილის ვარჯიში (მოსკოვიდან), 09.50 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: სატელევიზიო მრავალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი „არიცა მზიურ ქალაქში“, V სერია. პრემიერა (მოსკოვიდან), 10.10 — „როცა მეგობრები ჩემთან არიან“ — თბილისის მხატვრული აღზრდის კულტურის სახლის ბავშვთა ანსამბლის კონცერტი (მოსკოვიდან), 10.40 — „ცეროდენის ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 11.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „აბა, დამაცადე“ IV გამოშვება, 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — განცხადებები, 17.50 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესი“. VII, VIII და IX სერია (მოსკოვიდან), 19.00 — ბავშვებისათვის — კონცერტი (ფერადი), 19.20 — ქართული მხატვრული ფილმი „მე ვხედავ მზეს“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას სიმღერები“ (ფერადი. გამეორებით), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „გლობუსი“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „რობინ ჰუდის ისრები“ (ფერადი), 20.10 — კონცერტი, 21.00 — დოკუმენტური ფილმი „სერგეი ესენინი“.

5 იანვარი

პირველი პროგრამით

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რეპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ფეტრალური გაზეთების ფურცლები (მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45 — „კომუნისტთა აქტიურობა განმატიცებს დისციპლინას“, 12.15 — მღერის ვ. ვეიაჩიჩი, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — ქართული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — „ეკრანის მელოდიები“, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — თ. გურგენიძის კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ შ. რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი“, 14.20 — ვ. კალინიკოვი. მეორე სიმფონია, 17.15 — მღერის ლ. ივანოვა, 17.35 — მოსწავლეთათვის — საახალწლო ლეკსები; 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ინსტრუმენტულ ანსამბლ „როკოკოს“ კონცერტი, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ხაუბარი „დიდი ოქტომბერი და მსოფლიოს სახის შეცვლა“, 19.20 — ბ. ლვარიონაძი. ხაორკესტრო სუიტის ნაწყვეტები, 20.00 — „ძიკროფონთან მხატვრული კითხვის ოსტატები“, 20.30 — კონცერტი „ლირიკული მელოდიები“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — უკრავს კამერული ორკესტრი „კლარიონ კონცერტი“, 23.30 — ა. ჩიმაკაძე. სიმღერები.

...

4 იანვარი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთევან და კიდე (დღისით), ერთაქტიანი ბალეტების სალამო (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თამბისუფალი თეატრ (დღისით), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძალია; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბრშინ მალალანი (დღისით), ქარამანს ძალი მოჰკრავს (საღამოს).

380026 თბილისი-26, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ЗЦ 09906 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380006 თბილისი-8, ლენინის ქ. 14